

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2020 წლის 18 მარტი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ემუხლის 1-ლი და მე-2პუნქტების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №27 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, 30.12.2019 წელი, 010250050.35.121.016382) შეტანილი იქნას ცვლილებები და ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ივანიაძე

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ვანის საზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13990.1	6891.9	7098.2	13020.4	5542.9	7477.5	12201.9	5046.9	7155.0
გადასახადები	654.7	0.0	654.7	6988.0	0.0	6988.0	6700.2	0.0	6700.2
გრანტები	12821.2	6891.9	5929.3	5542.9	5542.9	0.0	5046.9	5046.9	0.0
სხვა შემოსავლები	514.2	0.0	514.2	489.5	0.0	489.5	454.8	0.0	454.8
ხარჯები	6347.5	372.1	5975.4	7491.4	869.7	6621.7	7516.7	465.0	7051.7
შრომის ანაზღაურება	1726.0	56.5	1669.5	1867.3	63.1	1804.2	1861.9	70.0	1791.9
საქონელი და მომსახურება	871.3	130.6	740.7	1192.5	494.4	698.1	1252.4	315.8	936.6
პროცენტი	52.5	0.0	52.5	27.8	0.0	27.8	30.0	0.0	30.0
სუბსიდიები	2771.4	65.0	2706.4	3266.0	64.9	3201.1	3538.8	65.0	3473.8



გრანტები	0.5	0.0	0.5	4.2	0.0	4.2	10.0	0.0	10.0
სოციალური უზრუნველყოფა	614.1	0.0	614.1	764.5	0.0	764.5	688.7	0.0	688.7
სხვა ხარჯები	311.7	120.0	191.7	369.1	247.3	121.8	134.9	14.2	120.7
საოპერაციო სალდო	7642.6	6519.8	1122.8	5529.0	4673.2	855.8	4685.2	4581.9	103.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6880.2	6034.4	845.8	7918.3	7095.2	823.1	5953.3	5399.1	554.2
ზრდა	6987.4	6034.4	953.0	8053.0	7095.2	957.8	6053.3	5399.1	654.2
კლება	107.2	0.0	107.2	134.7	0.0	134.7	100.0	0.0	100.0
მთლიანი სალდო	762.4	485.4	277.0	-2389.3	-2422.0	32.7	-1268.1	-817.2	-450.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	759.3	485.4	273.9	-2417.1	-2422.0	4.9	-1324.1	-817.2	-506.9
ზრდა	759.3	485.4	273.9	4.9	0.0	4.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	759.3	485.4	273.9	4.9		4.9	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	2422.0	2422.0	0.0	1324.1	817.2	506.9
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			2422.0	2422.0		1324.1	817.2	506.9
ვალდებულებების ცვლილება	-3.1	0.0	-3.1	-27.8	0.0	-27.8	-56.0	0.0	-56.0
კლება	3.1	0.0	3.1	27.8	0.0	27.8	56.0	0.0	56.0
საშინაო	3.1	0.0	3.1	27.8	0.0	27.8	56.0	0.0	56.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	14097.3	6891.9	7205.4	13155.1	5542.9	7612.2	12301.9	5046.9	7255.0
შემოსავლები	13990.1	6891.9	7098.2	13020.4	5542.9	7477.5	12201.9	5046.9	7155.0
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	134.7	0.0	134.7	100.0	0.0	100.0



ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13338.0	6406.5	6931.5	15572.2	7964.9	7607.3	13626.0	5864.1	7761.9
ხარჯები	6347.5	372.1	5975.4	7491.4	869.7	6621.7	7516.7	465.0	7051.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6987.4	6034.4	953.0	8053.0	7095.2	957.8	6053.3	5399.1	654.2
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	3.1	0.0	3.1	27.8	0.0	27.8	56.0	0.0	56.0
ნაშთის ცვლილება	759.3	485.4	273.9	-2417.1	-2422.0	4.9	-1324.1	-817.2	-506.9

მუხლი 3. ვანის ბიუჯეტის შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 12201,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13990.1	6891.9	7098.2	13020.4	5542.9	7477.5	12201.9	5046.9	7155.0
გადასახადები	654.7	0.0	654.7	6988.0	0.0	6988.0	6700.2	0.0	6700.2
გრანტები	12821.2	6891.9	5929.3	5542.9	5542.9	0.0	5046.9	5046.9	0.0
სხვა შემოსავლები	514.2	0.0	514.2	489.5	0.0	489.5	454.8	0.0	454.8

მუხლი 4. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 6700,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	654.7	0.0	654.7	6988.0	0.0	6988.0	6700.2	0.0	6700.2



საშემოსავლო გადასახადი	341.9	0.0	341.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	312.8	0.0	312.8	318.7	0.0	318.7	300.0	0.0	300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე	211.0	0.0	211.0	227.3	0.0	227.3	225.0	0.0	225.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	2.8	0.0	2.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	71.5	0.0	71.5	62.7	0.0	62.7	50.0	0.0	50.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	27.5	0.0	27.5	28.7	0.0	28.7	25.0	0.0	25.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	0.0	0.0	6669.3	0.0	6669.3	6400.2	0.0	6400.2

მუხლი 5. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 5046,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	12821.2	6891.9	5929.3	5542.9	5542.9	0.0	5046.9	5046.9	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	12821.2	6891.9	5929.3	5542.9	5542.9	0.0	5046.9	5046.9	0.0
გათანაზრებითი ტრანსფერი	5929.3	0.0	5929.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი	145.0	145.0	0.0	405.6	405.6	0.0	377.1	377.1	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	6746.9	6746.9	0.0	5137.3	5137.3	0.0	4669.8	4669.8	0.0

მუხლი 6. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 454,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	514.2	0.0	514.2	489.5	0.0	489.5	454.8	0.0	454.8
შემოსავლები საკუთრებიდან	341.7	0.0	341.7	187.2	0.0	187.2	344.8	0.0	344.8
პროცენტები	28.4	0.0	28.4	22.8	0.0	22.8	25.0	0.0	25.0
რენტა	313.3	0.0	313.3	164.4	0.0	164.4	319.8	0.0	319.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	44.5	0.0	44.5	47.6	0.0	47.6	40.0	0.0	40.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	30.9	0.0	30.9	29.9	0.0	29.9	30.0	0.0	30.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	13.6	0.0	13.6	17.7	0.0	17.7	10.0	0.0	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	49.3	0.0	49.3	33.6	0.0	33.6	50.0	0.0	50.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	78.7	0.0	78.7	221.1	0.0	221.1	20.0	0.0	20.0

მუხლი 7. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7516,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6347.5	372.1	5975.4	7491.4	869.7	6621.7	7516.7	465.0	7051.7
შრომის ანაზღაურება	1726.0	56.5	1669.5	1867.3	63.1	1804.2	1861.9	70.0	1791.9
საქონელი და მომსახურება	871.3	130.6	740.7	1192.5	494.4	698.1	1252.4	315.8	936.6
პროცენტი	52.5	0.0	52.5	27.8	0.0	27.8	30.0	0.0	30.0
სუბსიდიები	2771.4	65.0	2706.4	3266.0	64.9	3201.1	3538.8	65.0	3473.8
გრანტები	0.5	0.0	0.5	4.2	0.0	4.2	10.0	0.0	10.0
სოციალური უზრუნველყოფა	614.1	0.0	614.1	764.5	0.0	764.5	688.7	0.0	688.7
სხვა ხარჯები	311.7	120.0	191.7	369.1	247.3	121.8	134.9	14.2	120.7



მუხლი 8. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 5953,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6880.2	6034.4	845.8	7918.3	7095.2	823.1	5953.3	5399.1	554.2
არაფინანსური აქტივების ზრდა		6034.4	953.0	8053.0	7095.2	957.8	6053.3	5399.1	654.2
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	134.7	0.0	134.7	100.0	0.0	100.0

მუხლი 9. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
7.0	მთლიანი ხარჯები	13338.0	6406.5	6931.5	15572.2	7964.9	7607.3	13626.0	5864.1	7761.9
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2430.3	0.0	2430.3	2558.3	14.5	2543.8	2703.0	0.0	2703.0
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2430.3	0.0	2430.3	2558.3	14.5	2543.8	2703.0	0.0	2703.0
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2430.3	0.0	2430.3	2558.3	14.5	2543.8	2703.0	0.0	2703.0
7.2	თავდაცვა	83.0	79.5	3.5	95.7	77.9	17.8	98.0	80.0	18.0
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	83.0	79.5	3.5	95.7	77.9	17.8	98.0	80.0	18.0



7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6394.0	5570.0	824.0	7005.1	6303.3	701.8	4935.7	4418.3	517.4
7.4.5	ტრანსპორტი	6368.3	5570.0	798.3	6945.2	6303.3	641.9	4870.7	4418.3	452.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6368.3	5570.0	798.3	6945.2	6303.3	641.9	4870.7	4418.3	452.4
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	25.7	0.0	25.7	59.9	0.0	59.9	65.0	0.0	65.0
7.4.7.3	ტურიზმი	25.7	0.0	25.7	59.9	0.0	59.9	65.0	0.0	65.0
7.5	გარემოს დაცვა	558.8	156.1	402.7	610.0	155.3	454.7	609.8	125.2	484.6
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	156.1	156.1	0.0	155.3	155.3	0.0	129.8	125.2	4.6
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	359.4	191.1	168.3	301.4	134.2	167.2	274.5	0.0	274.5
7.6.3	წყალმომარაგება	2.5	0.0	2.5	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0
7.6.4	გარე განათება	128.3	0.0	128.3	118.4	0.0	118.4	121.0	0.0	121.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	228.6	191.1	37.5	181.8	134.2	47.6	153.5	0.0	153.5
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	190.4	183.3	7.1	189.8	144.8	45.0	102.3	84.3	18.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	125.4	118.3	7.1	116.9	79.9	37.0	19.3	19.3	0.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1275.7	0.0	1275.7	1543.1	21.4	1521.7	1640.0	127.5	1512.5
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	551.1	0.0	551.1	659.7	21.4	638.3	726.5	127.5	599.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	674.6	0.0	674.6	788.4	0.0	788.4	818.5	0.0	818.5
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50.0	0.0	50.0	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0
7.9	განათლება	1241.8	106.5	1135.3	2300.9	927.8	1373.1	2544.9	1019.6	1525.3
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1241.8	106.5	1135.3	1886.1	517.5	1368.6	1517.3	17.3	1500.0
7.9.2	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	414.8	410.3	4.5	1027.6	1002.3	25.3
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	414.8	410.3	4.5	1027.6	1002.3	25.3
7.1	სოციალური დაცვა	804.6	120.0	684.6	967.9	185.7	782.2	717.8	9.2	708.6
	ავადმყოფთა და შეზღუდული									



7.10.1	შესამღებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	354.8	0.0	354.8	419.3	0.0	419.3	427.0	0.0	427.0
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	282.9	0.0	282.9	343.7	0.0	343.7	352.0	0.0	352.0
7.10.1.2	შეზღუდული შესამღებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	71.9	0.0	71.9	75.6	0.0	75.6	75.0	0.0	75.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	20.0	0.0	20.0	22.8	0.0	22.8	23.0	0.0	23.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	127.5	0.0	127.5	117.8	0.0	117.8	113.0	0.0	113.0
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	154.8	120.0	34.8	208.9	185.7	23.2	44.2	9.2	35.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	142.5	0.0	142.5	192.1	0.0	192.1	103.6	0.0	103.6

მუხლი 10. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 4445,9 ათასი ლარის, ხოლო მთლიანი სალდო -1268,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	7642.6	6519.8	1122.8	5529.0	4673.2	855.8	4445.9	4342.6	103.3
მთლიანი სალდო	762.4	485.4	277.0	-2389.3	-2422.0	32.7	1268.1	-817.2	-450.9

მუხლი 11. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -1324,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	759.3	485.4	273.9	-2417.1	-2422.0	4.9	1324.1	-817.2	-506.9
ფინანსური აქტივების ზრდა	759.3	485.4	273.9	4.9	0.0	4.9	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	2422.0	2422.0	0.0	1324.1	817.2	506.9



მუხლი 12. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს -56,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ვალდებულებების ცვლილება	-3.1	0.0	-3.1	-27.8	0.0	-27.8	-56.0	0.0	-56.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	3.1	0.0	3.1	27.8	0.0	27.8	56.0	0.0	56.0

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნება განისაზღვროს 5275,0 ათასი ლარის ოდენობით. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6883.8	5917.2	966.6	7401.9	6592.8	809.1	5275.0	4543.5	731.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6320.1	5521.8	798.3	6373.7	5745.7	628.0	4181.3	3828.9	352.4
02 02	სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია	156.1	156.1	0.0	155.3	155.3	0.0	129.8	125.2	4.6
02 03	წყლის სისტემის განვითარება	2.5	0.0	2.5	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0
02 04	გარე განათების უზრუნველყოფა	128.3	0.0	128.3	118.4	0.0	118.4	121.0	0.0	121.0
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	228.6	191.1	37.5	181.8	134.2	47.6	153.5	0.0	153.5
02 06	სოფლის განვითარების ხელშეწყობა	48.2	48.2	0.0	571.5	557.6	13.9	689.4	589.4	100.0

ა) პროგრამის დასახელება: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის კოდი: 02 01

პროგრამის დაფინანსება: 4181,3 ათასი ლარი



პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. მიმდინარე წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესრულდება სალხინო-დიხაშხოს, ზეინდარ-სალომინაოს, შუამთა-ტობანიერის, ციხესულორში კეჭნარას უბნის, დიხაშხო-ბზვანის და ზედავანი-ტყელვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება ძულუხის და ქ. ვანში ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია, საგზაო ნიშნებისა და სამეთვალყურეო სისტემის შექმნა/მონტაჟი, გზების რეაბილიტაციის პროექტირება და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

ბ) პროგრამის დასახელება: სანიაღვრე და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 02 02

პროგრამის დაფინანსება: 129,8 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულდება ზედაეწერტობანიერში მეწყრული კერის რეგულირების სამუშაოები, ხოლო სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ფარგლებში დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ბერმის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

გ) პროგრამის დასახელება: წყლის სისტემის განვითარება

პროგრამის კოდი: 02 03

პროგრამის დაფინანსება: 0,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

მოსალოდნელი შედეგი:

დ) პროგრამის დასახელება: გარე განათების უზრუნველყოფა

პროგრამის კოდი: 02 04

პროგრამის დაფინანსება: 121,0 ათასი ლარი



პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯიის ანაზღაურებას, დასრულდება ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი სანათების მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

ე) პროგრამის დასახელება: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის კოდი: 02 05

პროგრამის დაფინანსება: 153,5 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ქალაქ ვანში განხორციელდება მისამართების აღმნიშვნელი აზრების შექმნა/მონტაჟი, თავისუფლების 63-65 მიმდებარედ სკვერი და თავისუფლების ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სეპტიკის მოწყობა. სააკადის ქუჩიდან საამშენებლო ნარჩენების გატანა.

მოსალოდნელი შედეგი: ქალაქის ცენტრალური ქუჩებში დამონტაჟებულია მისამართის აღმნიშვნელი აზრები. მოწყობილია სკვერი, გატანილია საამშენებლო ნაგავი.

ვ) პროგრამის დასახელება: სოფლის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 02 06

პროგრამის დაფინანსება: 689,4 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელებული პროექტები.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვროს 480,0 ათასი ლარის ოდენობით. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	402.7	0.0	402.7	454.7	0.0	454.7	480.0	0.0	480.0

ა) პროგრამის დასახელება: დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის კოდი: 03 01

პროგრამის დაფინანსება: 480.0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ააიპ ვანის კომუნალური გაერთიანება

პროგრამის აღწერა და მიზანი: ვანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს.

მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების ასიგნება განისაზღვროს 2544,9 ათასი ლარის ოდენობით. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	1241.8	106.5	1135.3	2300.9	927.8	1373.1	2544.9	1019.6	1525.3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1111.7	0.0	1111.7	1337.1	0.0	1337.1	1500.0	0.0	1500.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	130.1	106.5	23.6	549.0	517.5	31.5	17.3	17.3	0.0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	414.8	410.3	4.5	1027.6	1002.3	25.3



ა) პროგრამის დასახელება: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

პროგრამის კოდი: 04 01

პროგრამის დაფინანსება: 1500,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

პროგრამის აღწერა და მიზანი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით, ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: ვანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 700-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი.

ბ) პროგრამის დასახელება: სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 04 02

პროგრამის დაფინანსება: 17,3 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრულყოფილი და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს დაწესებულებების რეაბილიტაციის ღონისძიებებს.



მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა, სტანდარტებთან შესაბამისი პირობები შექმნილია საბავშვო ბაღებში.

გ) პროგრამის დასახელება: ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 04 03

პროგრამის დაფინანსება: 1013,8ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ღონისძიებებს. მიმდინარე წელს დასრულდება შუაგორასა და შუამთის სკოლების გათბობის მოწყობა, ისრითისა და შუამთის სკოლების შემოღობვის სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი: ტრანსპორტირების მომსახურებით სარგებლობს საჯარო სკოლების მოსწავლეები, სხვადასხვა მარშრუტზე. რეაბილიტირებულია საჯარო სკოლები.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა განისაზღვროს 1705.0 ათასი ლარით, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები თანდართული რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1301.4	0.0	1301.4	1603.0	21.4	1581.6	1705.0	127.5	1577.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	551.1	0.0	551.1	659.7	21.4	638.3	726.5	127.5	599.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	14.4	0.0	14.4	21.7	0.0	21.7	10.0	0.0	10.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	355.9	0.0	355.9	248.8	0.0	248.8	210.0	0.0	210.0
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	148.3	0.0	148.3	210.0	0.0	210.0
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	128.0	0.0	128.0	146.7	0.0	146.7	160.0	0.0	160.0
05 01 05	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	52.8	0.0	52.8	94.2	21.4	72.8	136.5	127.5	9.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	700.5	0.0	700.5	859.8	0.0	859.8	881.0	0.0	881.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	327.1	0.0	327.1	378.8	0.0	378.8	401.0	0.0	401.0



05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	323.4	0.0	323.4	345.0	0.0	345.0	339.0	0.0	339.0
05 02 03	კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	41.0	0.0	41.0	46.0	0.0	46.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0	0.0	50.0	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	24.1	0.0	24.1	23.6	0.0	23.6	32.5	0.0	32.5
05 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	25.7	0.0	25.7	59.9	0.0	59.9	65.0	0.0	65.0

ა) პროგრამის დასახელება: სპორტული ღონისძიებების ორგანიზება

პროგრამის კოდი: 05 01 01

პროგრამის დაფინანსება: 10,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები. პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა; ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულია ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენები.

ბ) პროგრამის დასახელება: სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 05 01 02

პროგრამის დაფინანსება: 210,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

პროგრამის აღწერა და მიზანი: სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი



მოზარდის ჩართვას სპორტში. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: გაერთიანება მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;

გ) პროგრამის დასახელება: ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 05 01 03

პროგრამის დაფინანსება: 210,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სულორი ვანი

პროგრამის აღწერა და მიზანი: საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის წრეებით სარგებლობა;

დ) პროგრამის დასახელება: რაგბის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 05 01 04

პროგრამის დაფინანსება: 160,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ სარაგბო კლუბი აიეტი

პროგრამის აღწერა და მიზანი: სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია:
ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მოსალოდნელი შედეგი: კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია რაგბის წრეებით სარგებლობა;

ე) პროგრამის დასახელება: სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 05 01 05

პროგრამის დაფინანსება: 136,5 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.



პროგრამის აღწერა და მიზანი: სპორტსმენთათვის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი აგრძელებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. მიმდინარე წელს განხორციელდება ცენტრალური სტადიონის გარე პერიმეტრის რეაბილიტაციის სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტსმენთათვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო პირობები, რეაბილიტირებულია სპორტული ობიექტები.

ვ) პროგრამის დასახელება: კულტურის ღონისძიებების ორგანიზება

პროგრამის კოდი: 05 02 01

პროგრამის დაფინანსება: 401,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. თეატრში იდგმება სპექტაკლები. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.

ზ) პროგრამის დასახელება: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 05 02 02

პროგრამის დაფინანსება: 339,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი.

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი მიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს. ქვეპროგრამის მიზანია მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის



შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებზე და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.

თ) პროგრამის დასახელება: კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია

პროგრამის კოდი: 05 02 03

პროგრამის დაფინანსება: 46,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: კულტურის სფერო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ერთ ერთი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს კულტურის ობიექტების რეაბილიტაციას. დასრულდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განთავსების მიზნით მერიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა

ი) პროგრამის დასახელება: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 05 02 04

პროგრამის დაფინანსება: 95,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ვანისა და ბაღდათის ეპარქია

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტი აგრძელებს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერას.

მოსალოდნელი შედეგი:

კ) პროგრამის დასახელება: ახალგაზრდობის მხარდაჭერა

პროგრამის კოდი: 05 03

პროგრამის დაფინანსება: 32,5 ათასი ლარი



პროგრამის განმახორციელებელი: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან.

ლ) პროგრამის დასახელება: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის კოდი: 05 04

პროგრამის დაფინანსება: 65,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი

პროგრამის აღწერა და მიზანი: ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის განვითარების საკითხებში. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების რაოდენობის ზრდა;

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 820,1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	995.0	303.3	691.7	1157.7	330.5	827.2	820.1	93.5	726.6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	190.4	183.3	7.1	189.8	144.8	45.0	102.3	84.3	18.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	65.0	65.0	0.0	72.9	64.9	8.0	83.0	65.0	18.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	125.4	118.3	7.1	116.9	79.9	37.0	19.3	19.3	0.0
06 02	სოციალური დაცვა	804.6	120.0	684.6	967.9	185.7	782.2	717.8	9.2	708.6
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	106.0	0.0	106.0	94.7	0.0	94.7	90.0	0.0	90.0
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	21.5	0.0	21.5	23.1	0.0	23.1	23.0	0.0	23.0



06 02 03	სამედიცინო დახმარება	244.1	0.0	244.1	300.3	0.0	300.3	300.0	0.0	300.0
06 02 04	დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება	38.8	0.0	38.8	43.4	0.0	43.4	52.0	0.0	52.0
06 02 05	შშმ პირთა დახმარება	71.9	0.0	71.9	75.6	0.0	75.6	75.0	0.0	75.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	21.0	0.0	21.0	29.3	0.0	29.3	43.6	0.0	43.6
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	154.8	120.0	34.8	208.8	185.7	23.1	39.2	9.2	30.0
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	16.4	0.0	16.4	13.8	0.0	13.8	13.0	0.0	13.0
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	20.0	0.0	20.0	22.8	0.0	22.8	23.0	0.0	23.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	14.5	0.0	14.5	16.0	0.0	16.0	16.0	0.0	16.0
06 02 12	ოჯახური მალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	5.0	0.0	5.0
06 02 14	სარიტუალო დახმარება	31.5	0.0	31.5	35.5	0.0	35.5	24.0	0.0	24.0
06 02 15	სხვა სოციალური ღონისძიებები	59.1	0.0	59.1	97.5	0.0	97.5	5.0	0.0	5.0

ა) პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კოდი: 06 01 01

პროგრამის დაფინანსება: 83,0 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

